საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 7 20 0000812045

10/09/2020

2020 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ფარგლებში სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის არჩევის ვადის განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 08 სექტემბრის N794074 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ფარგლებში სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის არჩევის ვადა დადგინდეს 2020 წლის 11 სექტემბრიდან 2020 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი